პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 104 (18946) პარასკევი, 4 მაისი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა 1984 წლის 21 აპრილს გამართული სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობის შედეგების საკითხი. შაბათობაში 157 მილიონზე მეტი მშრომელის მონაწილეობამ კიდევ ერთხელ ცხადყო საბჭოთა ადამიანების მაღალი შეგნება, მათი პატრიოტიზმი, მისწრაფება ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების ამოცანათა განხორციელებაში. პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მიღებულ ცნობებში აღნიშნულია, რომ შაბათობის დღეს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ყველგან დიდი აღმავლობით შრომობდნენ, გამოშვებულია დიდძალი სამრეწველო პროდუქცია, ინტენსიურად გაიშალა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, შესრულდა მნიშვნელოვანი მოცულობის სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვა, განხორციელდა ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის ფართო ღონისძიებანი. შეტანილია მნიშვნელოვანი წვლილი შრომის ნაყოფიერების ზრდით ერთი პროცენტით ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით ნახევარი პროცენტით შემცირების სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში. შაბათობა მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის, წარმოების რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების დათვალიერება გახდა, დამკვრელური შრომის ნათელ დღესასწაულად იქცა. ცნობა კომუნისტური შაბათობის შედეგების შესახებ გამოქვეყნდება პრესაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს 1986-1990 წლებში კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის მსუბუქი ლითონკონსტრუქციებით აგებული საცავების სამრეწველო წარმოების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ. დასახულია სსრ კავშირის სახსოფლტექნიკას დაევალოს ასეთი საცავების წარმოების ორგანიზაცია, მომხმარებლებისათვის მათი კომპლექტური მიწოდება, აგრეთვე საცავების ისე აშენება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი სრული მზაობა. ასაწყობი საცავების მშენებლობის გაფართოება შესაძლებლობას შექმნის, როგორც აღინიშნა პოლიტბიუროს სხდომაზე, მნიშვნელოვნად შემცირდეს კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დანაკარგები, განსაკუთრებით ამ პროდუქციის წარმოების ადგილებში.

პოლიტბიურომ მოიწონა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან მ. კოივისტოსთან ამხანაგების კ. უ. ჩერნენკოსა და ა. ა. გრომიკოს საუბრის შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირი ფინეთთან მეგობრულ, კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას, ურთიერთნდობის შემდგომ გაღრმავებას და ჩვენი ქვეყნის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებას, რადგან ეს თანამშრომლობა მიაჩნია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების ცხოველმყოფელობის დამაჯერებელ დადასტურებად.

პოლიტბიურომ მოისმინა ინფორმაცია იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჯ. ანდრეოტისთან მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შესახებ და მოიწონა ამ მოლაპარაკების დროს საბჭოთა ხელმძღვანელების მიერ ჩამოყალიბებული გეზი, რომლის მიზანია სსრ კავშირისა და იტალიის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მოიწონეს საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ჰ. ფლორაკისთან ამხანაგების კ. უ. ჩერნენკოსა და ბ. ნ. პონომარიოვის შეხვედრის შედეგები, აგრეთვე განიხილეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

რესპუბლიკის ახალმშენებლობებზე

მშენდება მთიანი ოსეთი

სადაც უნდა გაიხედო, დღეს ყველგან ახალმშენებლობანი ჩანს: ჭეშმარიტად დიდ სამშენებლო მოედნად იქცა ბოლო წლებში მთიანი სამხრეთ ოსეთი. აგებენ ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონებს, იზრდება სამრეწველო ობიექტების კორპუსები, კლდეებში გაჰყავთ ტრანსკავკასიის საავტომობილო მაგისტრალი.

ავტონომიურ ოლქში მშენებლობის მასშტაბს მოწმობს ასეთი დამაჯერებელი ფაქტი: ყველა მასშტაბის 16 სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაცია — საოლქოდან საკავშიროამდე — სამუშაოებს აწარმოებს ცხინვალში და რაიონულ ცენტრებში, სამხრეთ ოსეთის სოფლებსა და დასახლებებში.

სურათებზე: „ცხინვალმშენის" № 11 ტრესტის მოწინავე მშენებელი ვიაჩესლავ ტადტაევი; მალე მიიღებს ახალმოსახლეებს ცხინვალის კიდევ ერთი მრავალბინიანი სახლი, რომელშიც იცხოვრებენ მექანიკური ქარხნის მუშაკები.

ლ. ბუსოევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ".

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ …

… გადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის შემოღება გათვალისწინებულია განხორციელდეს 1986-1990 წლებში თანდათანობით, საჭირო პირობების შექმნის კვალობაზე.

დადგენილების შესაბამისად გაიზრდება მოსწავლეთა შრომითი სწავლების, საზოგადოებრივად …

… დოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის შემდეგი ნორმატივების საფუძველზე: 6-12 კლასის მქონე სკოლებში — 25 მანეთი, 13-29 კლასისა — 50 მანეთი, 30 და მეტი კლასისა — 80 მანეთი თვეში.

მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის უშუალო ხელმძღვანელობა ეკისრებათ სკოლებისა და სასწავლო-საწარმოო კომბინატების მასწავლებლებს, აღმზრდელებს, საწარმოო სწავლების ოსტატებს, საწარმო-ორგანიზაციათა სასწავლო საამქროებისა და უბნების მუშაკებს.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის განათ- …

… დადგენილებაში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს წინადადება ეძლევათ სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შე- …

… შესაძლებლობანი, ქალაქისა და სოფლის სკოლების თავისებურებანი, განახორციელონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა დროული შრომითი მოწყობა. მოაწესრიგონ შემდგომი სწავლებისა და შრომითი მოწყობის სხვადა- …

პარტიისა და ხალხის ერთიანობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „ნამგლისა და უროს" მუშებთან შეხვედრაზე საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია. რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უზრუნველყონ ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება. ძალ-ღონეს არ დაიშურებენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის.

სწორი ორიენტირი

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს შეხვედრამ მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „ნამგლისა და უროს" მუშებთან, მისმა სიტყვამ, რომელიც მთლიანად გამსჭვალულია მშრომელი ადამიანისათვის ზრუნვით, დიდად აღაფრთოვანა რუსთაველი მეტალურგები. დედაქალაქის სახელგანთქმული კოლექტივის ყველა პრობლემა, ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრის გზები ზუსტად მიუთითა კონსტანტინე უსტინის ძემ, უაღრესად დამახასიათებელია ჩვენი საწარმოსთვისაც. სწორედ ამ ნაკლოვანებებმა გამოიწვია ის, რომ ჩვენმა ქარხანამ, რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთმა ფლაგმანმა, უკანასკნელ წლებში ასე დათმო თავისი პოზიციები.

მართალია, ახლა მდგომარეობა უმჯობესდება. გადაჭარბებით შევასრულეთ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის დავალება მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით. და ეს უთუოდ იმ სერიოზული ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგია, რომელთა მიზანია ჩვენი მტკივნეული პრობლემების გადაწყვეტა. მაგრამ ჯერ ნაადრევია დამთავრებულად მივიჩნიოთ ჩავარდნა. …

… ნები საოჯახო და სასკოლო აღზრდაში დაშვებული შეცდომების შედეგია. და ეს მაწუხებს მე როგორც პედაგოგს, როგორც დედას, როგორც დეპუტატს.

ახლა ჩვენ შევუდექით სასკოლო რეფორმის განხორციელებას, სადაც უდიდესი ყურადღება ეთმობა შრომითი სწავლების სრულყოფას. ჩვენი საზოგადოება შრომითი, სოციალური სამართლიანობის საზოგადოებაა, და ამიტომ ჩვენ უნდა შევისწავლოთ არა მარტო პროფესია. მუშური სინდისი, კოლექტივიზმის გრძნობა ესეც ცხოვრების მეცნიერებაა.

„მატივი და ღირსება შრომის მიხედვით!" — აღნიშნა თავის გამოსვლაში კ. უ. ჩერნენკომ. ეს პრინციპი ჩვენ განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

ი. ლალიძე,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქ. თბილისის № 28 საშუალო სკოლის პედაგოგი.

დროის მოთხოვნა

ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „ნამგლისა და უროს" მუშებთან შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა …

ბ. ფანჩვიძე,

ცხოვრების მეცნიერება

რ. ჯაჯაძე,
თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის მუშაკი.

გზა დაგელოცოს, „სოვეტ გურჯუსტანო"!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო — გაზეთი „სოვეტ გურჯუსტანი" — 1 მაისიდან დიდი ფორმატით გამოდის. გაზეთის ლამაზად გაფორმებულ სადღესასწაულო ნომერში გამოქვეყნებულია მხურვალე მისალმებები, რომლებიც მას გამოუგზავნეს რესპუბლიკური გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოვეტაკან ვრასტანის", „სოფლის ცხოვრების", ჟურნალების „საქართველოს კომუნისტის", „პარტიული სიტყვის", საოლქო გაზეთების „აფსნი ყაფშის", „საბჭოთა აჭარის", „სოვეტ ირისთონის" რედაქციების კოლექტივებმა. გაზეთისადმი კეთილი სურვილებია გამოთქმული მოსკოვიდან, ბაქოდან, ერევნიდან გამოგზავნილ მისალმებებში.

დიდფორმატიანი გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე სტატია „ვალი და მოვალეობა" ეხება „სოვეტ გურჯუსტანის" რედაქციის კოლექტივის გეგმებს, მის პრობლემებსა და ამოცანებს, გადიდებულ პასუხისმგებლობას. ნომერს ამშვენებს პოეტ შოთა ნიშნიანიძის ლექსი „კომუნისტები", გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი ნარკვევები და რეპორტაჟები, კორესპონდენციები, ფოტოინფორმაციები.

გზა დაგელოცოს, „სოვეტ გურჯუსტანო"! (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: სტილი, გამოცდილება, სიახლე

დიდი თანაზიარობა

როგორ ვიცავთ საწესდებო მოთხოვნებს?

საწევრო შესატანის დროული გადახდა პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა ერთ-ერთი საწესდებო მოთხოვნაა. იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად დისციპლინიანია კომუნისტი, რამდენად შეგნებული აქვს მას პარტიის წევრობის მნიშვნელობა. მ. ი. კალინინი აღნიშნავდა: „ვინც ფიქრობს პარტიაზე, მისთვის პარტიული შესატანის გადახდა კმაყოფილებაა, რადგანაც ამით თითქოსდა მატერიალურ კავშირს ამყარებს პარტიასთან. თითქოსდა პარტიის თანაზიარი ხდება".

ამ თანაზიარობას არა მარტო პრაქტიკული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ეს კარგად აქვთ შეგნებული ქალაქ ქუთაისის პირველადი პარტორგანიზაციებსა და პარტიულ კომიტეტებს, რომლებიც ამ მხრივ მრავალ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებენ.

გეგმით სამრეწველო საწარმოთა პარტორგანიზაციები პირველ კვარტალში შეამოწმა პარტიის საქალაქო კომიტეტის აქტივმა, მეორე კვარტალში მას ამოწმებს პარტიის რაიონული კომიტეტის აქტივი, მესამე კვარტალში — პარტიის საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისია, ხოლო მეოთხე კვარტალში — პარტიის რაიონული კომიტეტის სარევიზიო კომისია, ასევეა სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მიხედვითაც.

საწევროს შეგროვებისა და ჩაბარების პროცესის მართვის სისტემის შემუშავებამ გამორიცხა პარალელიზმი სხვადასხვა მაკონტროლებელი რგოლის მუშაობაში. რაიონის 201 პარტიული ორგანიზაციიდან თითოეულს წლის განმავლობაში თითქმის ორჯერ უწევს შემოწმება (გასული წლის კოეფიციენტია 1,88). ამავე დროს ყოველი შემოწმება მეთოდიკური დახმარების ხასიათისაა.

ამის გამო შარშან წინა წელთან შედარებით 6 ერთეულით შემცირდა იმ ორგანიზაციათა რაოდენობა, რომლებმაც დაგვიანებით ჩააბარეს შემნახველ სალაროს შეგროვებული თანხები. საერთოდ კი, 1983 წლის აგვისტოდან დღემდე არც ყოფილა საწევროს დაგვიანებით ჩაბარების არც ერთი შემთხვევა. ყველა ორგანიზაციაში ძირითადად დაცულია უწყისების შედგენისა და გაფორმების წესი. რეგულარულად ხდება საწევრო შესატანების მიღება-ანგარიშგების განხილვა პირველად პარტორგანიზაციებში.

ამ მხრივ დადებითს ძვრებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების პასუხისმგებლობის ამაღლებლად გაწეულმა მუშაობამ.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ გვხვდება არასრული შემოსავლიდან საწევროების გადახდის და მცდარი გაანგარიშების ფაქტები...

ბ. შალვაძე.

სამეცნიერო ლაბორატორიებში

ამუშავებენ ახალ მეთოდებს

რესპუბლიკის დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ატმოსფეროს გამჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ძირითადი წილი ავტოტრანსპორტზე მოდის. უკანასკნელ წლებში განუწყვეტლივ იზრდება ავტომანქანების რიცხვი თბილისშიც. მაშასადამე, ატმოსფეროშიც მატულობს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი მავნე აირთა წილი. ამიტომ, ბუნებრივია, საჭიროა დროულ სათანადო ღონისძიებათა განხორციელება ახეთი აირებისაგან ატმოსფეროს გასაწმენდად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის არაორგანულ ნივთიერებათა სინთეზისა და კატალიზის ლაბორატორიაში შემუშავდება მავნე ნივთიერებათაგან ატმოსფეროს გაწმენდის ახეთი ეფექტიანი მეთოდები, როგორიც გახლავთ აირების გაწმენდის კატალიზური ხერხი.

ინსტიტუტში შემუშავებული კატალიზატორები შეესაბამება საკავშირო და საერთაშორისო სტანდარტს. უკვე ათვისებულია სამი სახეობის კატალიზატორთა წარმოება საქარხნო მასშტაბით.

აღნიშნულმა კატალიზატორებმა ხანგრძლივი საექსპლოატაციო გამოცდა გაიარეს „ზილ-120" ავტომანქანისა და „ლიაზის" მარკის ავტობუსის გამონაბოლქვი აირების გამწმენდ სისტემებში.

სურათზე (მარცხნიდან): ლაბორატორიის თანამშრომლები — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ნათელა ხარაძე, უფროსი ინჟინერი ვახტანგ ტუღუში, ლაბორატორიის გამგე ვიტალი ხახტაძე და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ნელი ბარდაველიძე.

ჯ. ლომაძის ტექსტი და ფოტო.



გაიმართა არჩევნები!

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 11 ელმავალმშენებელთა საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ თბილისის № 11 ლენინის რაიონის ელმავალმშენებელთა საარჩევნო ოლქში.

კენჭისყრაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 11 ელმავალმშენებელთა საარჩევნო ოლქში არჩეულია **გიორგი ნიკოლოზის ძე კურტანიძე** — თბილისის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 11 ელმავალმშენებელთა საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 31 მარქსის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 31 მარქსის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 31 მარქსის საარჩევნო ოლქში არჩეულია **გურამ სპარტაკის ძე მამაცაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 31 მარქსის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 34 კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 34 კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 34 კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქში არჩეულია **ტარიელ ვლადიმერის ძე ლორთქიფანიძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავდაცვითი მრეწველობის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 34 კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 40 კალინინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის № 40 კალინინის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 40 კალინინის საარჩევნო ოლქში არჩეულია **ბორის ერასტის ძე ხარაძე** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 40 კალინინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 65 დელისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის № 65 დელისის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 65 დელისის საარჩევნო ოლქში არჩეულია **ალექსანდრე ირაკლის ძე კავსაძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 65 დელისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 68 ნუცუბიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 68 ნუცუბიძის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 68 ნუცუბიძის საარჩევნო ოლქში არჩეულია **ლეო იასონის ძე ხაბურზანია** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 68 ნუცუბიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 114 ატენის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები გორის რაიონის № 114 ატენის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 114 ატენის საარჩევნო ოლქში არჩეულია **არსენ ზაქარიას ძე ლოლიჯაშვილი** — გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 114 ატენის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 207 წნორის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები სიღნაღის რაიონის № 207 წნორის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 207 წნორის საარჩევნო ოლქში არჩეულია **თამაზ შალვას ძე ქევხიშვილი** — საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 207 წნორის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 240 ზედა საქარის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ზესტაფონის რაიონის № 240 ზედა საქარის საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 240 ზედა საქარის საარჩევნო ოლქში არჩეულია **გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე** — საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 240 ზედა საქარის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 361 ლაკობას საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა.

1984 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ სოხუმის № 361 ლაკობას საარჩევნო ოლქში.

ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი. დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 361 ლაკობას საარჩევნო ოლქში არჩეულია **ზაურ ხაკის ძე ავიძბა** — აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 361 ლაკობას საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

სამწუხაროდ, ვაზს შვილივით ველარ ზრდიან!

რეიდი კახეთის ზვრებში

რეიდმა კრიტიკული ფაქტები უყვარს და რაც უფრო ბევრი იქნება ამგვარი ფაქტები, საქმისათვის უკეთესია ხოლმე, ოღონდ, კრიტიკული ფაქტები მარტოოდენ ტკივილს იწვევს. რეიდის მონაწილეებს კახეთიდან დიდ ტკივილად წამოგვყვა ვაზისადმი უსულგულო დამოკიდებულების მწარე ფაქტები და მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდით, რომ ჩვენდა უნებურად ისინიც ცუდ გუნებაზე უნდა დავაყენოთ.

აი ფაქტები:

გარდაბნის რაიონი, სართიჭალის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრები. სულ 185 ჰექტარი ვენახი. აქედან მოსავლიანია 167 ჰექტარი, ვაზი მთელ ფართობზე გასხლულია. ამის შემდეგ თითქმის ყველა სამუშაო სწორად გაუკეთებიათ. აი, პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი — ვ. ქვაზარმიშვილი) დაახარი აქვთ 10 ჰექტარი, ხოლო ვაზის შეყელვა 4 ჰექტარზე აქვთ დარჩენილი. ამ საქმეში ჩამორჩა აგრეთვე მეცამეტე ბრიგადა (ბრიგადირი — ა. წიქარიშვილი).

სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მთლიანად მომთავრებული იყო სხვლა, შპალერის შეკეთება, შეყელვა. ვაზის ძირები გამოსაბარი იყო 50 ჰექტარზე. ამ მეურნეობის ვენახები ძალიან მეჩხერიანია. ვაზის ნერგის ჩამატების, მხრის გაგრძელებისა და გადაწვენის სამუშაოები იმდენად მცირე მასშტაბით მიმდინარეობს, რომ სიმეჩხერეს ვერ მოსპობს.

საგარეჯოს რაიონს 7.303 ჰექტარი ვენახი აქვს, აქედან მოსავალს იძლევა 5.080 ჰექტარი. კახეთში საგარეჯო გამოირჩევა მკაცრი ჰავით. ამიტომ ამინდმა მათ უფრო მეტი ხელი საგაზაფხულო სამუშაოებში. მიუხედავად ამისა, ვაზის სხვლის, შპალერის შეკეთების...

რეიდის მონაწილეები: ა. გოლეთიანი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე; მ. ზაქარაძე — ... ; **ჟ. კაპანაძე** — ... „კომუნისტის" საკ. კორ.

ასამოქმედებელ ობიექტებზე

ურთიერთპრეტენზიებიდან ურთიერთდახმარებაზე

ბ. კაკაბერიშვილი.

საკავშირო დროშა — მეურნეობას

რ. რუსია, „კომუნისტის" საკ. კორ.

3 მაისი

ყურადღება

ფაქტები მოვლენები

საქმესი იუფყება

ბედნიერებისა და მშვიდობისათვის

გამოხმაურება

პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები, ყველა ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი დიდი ინტერესით, ფართოდ განიხილავენ და განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს სიტყვას, რომელიც წარმოთქვა პირველი მაისის წინ მოსკოვის ქარხნის „ნამგლისა და უროს" მეტალურგებთან შეხვედრაზე.

ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს სიტყვა პლანეტის ხალხთა ბედნიერების, მშვიდობისა და აყვავებისათვის მთელი კაცობრიობის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი კონსტრუქციული პროგრამაა. საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლაში თვალნათლივ გამოსჭვივის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური კურსის ლენინური ინტერნაციონალისტური ხასიათი. აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტიის ახეთი პოლიტიკა ეყრდნობა საბჭოთა ხალხის მტკიცე, ურყევ მხარდაჭერას, პარტიასთან მის განუყოფელ ერთიანობას.

სათაურით „შრომა — მშვიდობა —უშიშროება" პოლონეთის „ტრიბუნა ლუდუ" აქვეყნებს კომენტარს, რომელშიც აღნიშნავს: კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა — ეს არის ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი ხალხთა ბედნიერებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის გა-...

...ლმა, — ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზია და მას ვერავინ შეარყევს, წერს გაზეთი.

იტალიის „კორიერე დელა სერა" ბეჭდავს კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლის შინაარსს და განსაკუთრებით გამოყოფს საბ-...

...მა ნატოელმა მოკავშირეებმა დაიწყეს რაკეტების განლაგება ევროპაში და კაცობრიობა ახალი ომის პირას მიიყვანეს. სამხედრო და პოლიტიკური ლაბაბუდობა, რასაც ნიადაგ ესწრაფვის ვაშინგტონი, მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს — ზეგავლენა მოახდინოს საბჭოთა კავშირზე. მაგრამ ამერი-...

...ების განზოგადებას, მატერიალურ და ადამიანთა რესურსების გონივრულ გამოყენებას. მშრომელთა ფართო მასების ცხოვრების თანამიმდევრული გაუმჯობესება, განაცხადა საბჭოთა ხელმძღვანე-...

...ნი", განუხრელად უჭერდა მხარს ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. მაგრამ საბჭოეთის მეცადინეობის საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მის-...

...აქვეყნებს კ. უ. ჩერნენკოს სიტყვის დაწვრილებითი შინაარსს. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის ამ სიტყვებს, წერს ეს გაზეთი, ჩვენს პლანეტაზე იმედით შეხვდნენ.

● აშშ

მობილიზაციის კვირეული

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის განყოფილებამ კონექტიკუტის შტატში მიიღო გადაწყვეტილება მოაწყოს „მობილიზაციის კვირეული". იგი გაიმართება ამერიკელ კომუნისტთა საერთო ეროვნული კამპანიის ფარგლებში, რათა შტატების მაქსიმალურ რიცხვში რეგისტრაციაში გაატარონ კომპარტიის კანდიდატები. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად — მისი გენერალური მდივანი გ. ჰოლი და ვიცე-პრეზიდენტად —მისი ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. დევისი.

კონექტიკუტი იმ შტატების რიცხვს განეკუთვნება, სადაც კომუნისტთა მონაწილეობა არჩევნებში ხელისუფალთა გამო მნიშვნელოვნად გაძნელებულია. როგორც ცნობილია, იმისათვის, რომ თავისი კანდიდატურა წარმოადგინოს არჩევნებზე, კომპარტიამ, ამერიკის კანონმდებლობის შესაბა-...

...ულისხმოა, რომ ამ ანტიდემოკრატიული პრაქტიკის პირობების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების ორი უდიდესი ბურჟუაზიული პარტია—რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები განთავისუფლებული არიან პეტიციებზე ხელმოწერის შეგროვებისაგან.

● ლიბანი

შეიქმნა მთავრობა

ბეირუთი. აქ გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ლიბანის ეროვნული ერთიანობის მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე რ. კარამე. ამასთან მას უკავია საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. რ. კარამე წინათ 9-ჯერ მეთაურობდა მინისტრთა...

ფოტოფაქტი

● იაპონია

შოთა ნიშნიანიძე

პეტრე ბაგრატიონი კრწანისის ველთან დაბრუნდება!..

ბაგრატიონო,
ქართულ ცხენზე ვინ აგამხედრა?
კურთხეულ იყოს ეგ კვარცხლბეკი და საბრძანისი;
თუ წამოიწევ —
ბოროდინოც მოჩანს აქედან,
მაგრამ ვაი რომ უფრო კარგად მოჩანს კრწანისი.
რა ძეგლი იტყვის შენს დიდებას,
რა პანთეონი!
ჯარისკაცებმაც სიყვარული შენ ერთს გარგუნეს.
შურით გიმზერდა ბრძოლის ველზე ნაპოლეონი,
როცა ყიჟინით მიუძღოდი მამაც დრაგუნებს.
მითხარ, სარდალო,
აქ კრწანისთან რამ მოგიყვანა,
აწ რაღას იზამ მაგ მხედრული თვალის შევლებით?!
გვიანღა არის...
ჟამთასვლამ და
ბედმა გიგანა:
აქ პატარა კახს, ვაჰმე ველარ შეეშველები.
ქართლის სანახებს გაზაფხული ფიფქით წანისლავს
და ვარდებს გიძღვნის ბაგრატოვანს —
დაფნით შემოსილს.
აბჯრის ჟღრიალით გესალმება ძველი კრწანისიც,
კრწანისი —
ანუ ბოროდინო საქართველოსი.
შენ აქ იდგები —
ორი ერის რწმენად, საფიცრად
და სიამაყით შემოგხედავს ამვლელ-ჩამვლელი.
ხვალ ბოროდინოს
ანდა კრწანისს ვინც კი დაიცავს,
აქ ფიცისათვის ჩაივლიან შთამომავლები!

მოვლენის წინ

წინაპრის სადიდებელი

მან პაპუკმა დატოვა მშობელი მიწა, 17 წლისა რუსეთის მეფის არმიის სამსახურში ჩადგა...

...ეს ყოველივე კუმინ ძეგლთან მიამბო მოქანდაკემ...



გაუფრთხილდეთ ბუნების სიმდიდრეს

...ახპიძის, თელავის, გეგეჭკორის, თერჯოლის, ზნაურის, ბოლნისისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების ტყეებში.

კოლმეურნეობებსა და საბჭო-...

...სადმი სისტემატურ კონტროლს.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. შ. სირაძე.

ვუპასუხებთ მკითხველებს

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო, სატრანსპორტო და სახალხო მეურნეობის სხვა ორგანიზაციებიდან გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში ხშირად შემოდის წერილები, რომლებშიც ისინი გვთხოვენ გავაცნოთ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდის გამოყენების წესები, ის, თუ როგორ უნდა განაწილდეს ეს ფონდები შრომითი კოლექტივების სოციალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტის ა. ბაბილონიას წერილს.

გამიზნულად, ინტენსიურად

როგორ ვიყენებთ შრომითი კოლექტივების სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობას

საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა, აგრეთვე საბინაო მშენებლობის ფონდი მობმარების საზოგადოებრივი ფონდების საგულისხმო ნაწილს შეადგენს...

...სესხი მისცეს ახალგაზრდა ბავშვიან ოჯახებს საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად. ერთი სიტყვით, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის ანგარიშზე...

...რებს მეტად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ, საშუალოდ ყოველ წელს არსებული თანხის 44-45 პროცენტის ოდენობით, ხოლო პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებას თუ ვიგულისხმებთ, იგი შემცირდება 6-8 პროცენტული პუნქტით. ამგვარად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ყოველწლიურად გამოუყენებელი რჩება 65-70 მილიონი მანეთი, რაც თავისუფალი ნაშთის სახით გადადის მომდევნო წელიწადში. ეს ნაშთები წლითიწლობით იზრდება. მაგალითად, 1975-1982 წლებში იგი 34 პროცენტით ანუ 17 მილიონი მანეთით გაიზარდა.

1982 წლის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საწარმოები სახსრებს ყველაზე უფრო ინტენსიურად იყენებენ მუშაკთა კვების გაიაფებისა და გაძლიერებისათვის — 2,6 მილიონამდე მანეთს, ანუ მთელი ფონდის 10,4 პროცენტს, კულტურულ-საგან-...

...არადამაკმაყოფილებლად სარგებლობენ სამენ მასალათა მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებსა და ზოგიერთი სხვა უწყების სისტემაში. ამ ფონდის გამოყენების კოეფიციენტი ყოველწლიურად 30-40 პროცენტს არ აღემატება.

რა არის ამ მნიშვნელოვანი, ნათლად გამოხატული სოციალური დანიშნულების სახსრების ასე არასაკმარისად გამოყენების მიზეზი? მიზეზი მრავალია და მათ შორის **არსებითია სათანადო მატერიალური რესურსების, ლიმიტების უქონლობა,** უამისოდ კი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი მხოლოდ ფულადი თანხაა. უკვე ორი ათეული წელია ვერა და ვერ მოხერხდა ამ ფონდების შესაბამისი და საკმარისი ლიმიტების გამოყოფა კაპიტალური დაბანდების გეგმებში.

ა. ბაბილონია,

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" №4

გამოვიდა და ხელმომწერლებს დაურიგდათ ყოველთვიური სამეცნიერო პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მეოთხე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მასალით — საბჭოთა საქართველოს გამარჯვებული წინსვლა.

განყოფილებაში „ვ. ი. ლენინის დაბადების 114-ე წლისთავისათვის" დაბეჭდილია წერილები: ვ. გოგიბერიძის — მცირე ერების დიდი ჭომაგი; ვ. ვიშნევსკის — ახსოვთ ლენინი; ფ. დანელიის — ქართველი ბოლშევიკი — ვ. ი. ლენინის ბიოგრაფი; დ. ბიწაძის — სოფელი, რომელზეც წერდა ბელადი.

ჟურნალში თქვენ გაეცნობით: ვ. მერკვილაძის — მაღალი შეფასება, დიდი პასუხისმგებლობა; გ. ძნელაძის — შრომითი კოლექტივების კავშირურთიერთობა კოლექტიური იჯარის პირობებში; თ. თავიდაშვილის — ეფექტიანად გამოვიყენოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ო. ქეშელაშვილის — შრომის ნაყოფიერების ზრდა ეკონომიკის განვითარების ძირითადი ბერკეტია...

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „სასურსათო პროგრამა მოქმედებაში", „სპეციალისტი გვირჩევს", „მოყვარულ მებაღეთა დასახმარებლად", „ჩვენი სასურსათო პროგრამა", „ბევრი შვილი ერის სიმდიდრეა".

გვესახელეს!

კვლავ უძლიერესი

თეიმურაზ აფხაზავას კიდევ ერთი „ოქრო“

ზვედიის ქალაქ იონჩეპინგში თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მნიშვნელოვანი წარმატების შემდეგ საბჭოთა კლასიკური სტილის მოჭიდავეებმაც დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ისინი ექვს ოქროს, ერთ ვერცხლის და სამ ბრინჯაოს მედალს დაეუფლნენ. ზედიზედ უკვე მეორე წელია კონტინენტზე უძლიერესის წოდებას ეუფლება ქუთაისელი ათლეტი, მსოფლიო ჩემპიონი თეიმურაზ აფხაზავა (82 კგ-მდე წონა). ამჯერად მან ფინალში ბულგარელ სპორტსმენს ანგელ ბონჩევს გადაუწყვიტა წარმატების იმედი და დიდი უპირატესობით დაამარცხა. აფხაზავას გარდა საბჭოთა სპორტსმენთაგან ოქროს მედლები მოიპოვეს ბაქოელმა ვ. ალახვერდიევმა (48 კგ), ულიანოვსკელმა შ. ტაზეტდინოვმა (52 კგ), ტაშკენტელმა კ. ფატკულინმა (57 კგ), მინსკელებმა კ. მაჯიდოვმა (62 კგ) და მ. პროკუდინმა (68 კგ).

ვერცხლის მედალი წილად ხვდა ვიტებსკელ ი. კანიგინს (90 კგ). ბრინჯაოს მედლები მიიღეს მოსკოველებმა მ. მამიაშვილმა (74 კგ), ნ. ბალბოშინმა (100 კგ) და ყარაგანდელმა ი. როსტოროცკიმ.

დიდი წარმატება

იუნიორ ვლადიმერ გოგოლაძის მედლები

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ თბილისელი ვლადიმერ გოგოლაძე იტალიის ქალაქ რიმინიში გამართულ იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე მრავალჭიდში ვერცხლის მედალს დაეუფლა. ეს მნიშვნელოვანი წარმატება ქართველმა ტანმოვარჯიშემ ცალკეულ ვარჯიშებში მოპოვებული მედლებითაც გაამდიდრა: იგი უძლიერესი გახლდათ თავისუფალ ვარჯიშში — 19,65 ქულა, ხოლო ძელზე ვარჯიშში საბჭოთა სპორტსმენ სერგი გუსევთან ერთად პირველი-მეორე ადგილები გაინაწილა — 19,7-19,7 ქულა. რგოლებით ვარჯიშში და ხტომებში პირველი იყო გუსევი — შესაბამისად 19,55 და 19,425, ტაიჭზე და ორძელზე ასევე საბჭოთა სპორტსმენმა — რ. ადეევმა იმარჯვა — 19,8 და 19,35.

გოგონათა შორის ცალკეულ ვარჯიშებში ოქროს მედლები მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ნ. ფროლოვამ (ხტომებში და თავისუფალ ვარჯიშში), ი. ბარაკსანოვამ (ორძელზე) და რუმინელმა დ. სილივაშმა (ძელზე).

ჭადრაკი

თბილისის საერთაშორისო

დაიწყო ფინიში

